



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი: 31.31212091

თარიღი: 28/07/2021

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის ოქმი N10

ქ. ლანჩხუთი

23. 07. 2021 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი.

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სდომას გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია**. მან აღნიშნა, რომ „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის N330 განკარგულებაში მიმდინარე წლის 11 ივნისის საქართველოს მთავრობის N969 განკარგულებით შესული ცვლილებებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 460,0 ათასი ლარი, მოქალაქეთა დაზიანებული სახლებისათვის პროფესიული მასალების შეძენისათვის. ა(ა)იპ-დან შემოსული მომართვების (N45,29,06,2021) განხილვის შედეგად მიზანშეწოლილად ჩაითვალა ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის საქონელი და მომსახურების მუხლი გაიზარდოს 40,0 ათასი ლარით. გაიზარდოს მუნიციპალიტეტის გარე განათების არაფინანსური აქტივების მუხლი 80,0 ათასი ლარით სპეც ტექნიკის შესაძენად. გაიზარდოს ჯანდაცვის ობიექტების ღონისძიებების არაფინანსური აქტივების მუხლი 2,0 ათასი ლარით. მიმდინარეობს შემოსული საკითხების განხილვა, როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისა და სხვადასხვა ღონისძიებების დამატებით დაფინანსების თაობაზე, კერძოდ:

- 1) ქ. ლანჩხუთი, ხოფერიას ქუჩაზე მდ. ორაგვისღელეზე გენო ჩხაიძის სახელობის ხიდის მოწყობა- სავარაუდო ღირებულებით 175900 ლარი;
- 2) სოფ. ქვიანი, რუსთაველის ქუჩაზე სახიდე გადასასვლელის მოწყობა-სავარაუდო ღირებულებით 152500 ლარი;
- 3) სოფ. ჩოჩხათი, ნანული სარნაშის ეზოსთან სახიდე გადასასვლელის მოწყობა-სავარაუდო ღირებულებით 25000 ლარი;
- 4) სოფ. ლესა, კორეის უბანში გასასვლელ გზაზე ხიდის რეაბილიტაცია-მოწყობა-სავარაუდო ღირებულებით 36600 ლარი.

მუნიციპალიტეტისათვის სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციოდ მთავრობის დადგენილებით გამოყოფილი თანხიდან ჩატარებული ტენდერების შედეგად მიღებული ეკონომია 60000 ლარი მიზანშეწონილია მიიმართოს ქ. ლანჩხუთის კვირკველიას ქუჩაზე და სოფ. შუხუთში სანიაღვრე არხების მოსაწყობად. მიზანშეწონილია დამატებით დაფინანსდეს საფეხბურთო კლუბი „გურია“ 25000 ლარით, შპს „ლანჩხუთი“ 25000 ლარით, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი 18000 ლარით, ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება 7000 ლარით, მუნიციპალიტეტის ვებ გვერდის პროგრამის განახლებისათვის მიიმართოს 4100 ლარით.

საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. საქართველოს კანონის პროექტის საფუძველზე გადამუშავებული ფისკალური პროგნოზების შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გადასახდელებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვროს 9211,1 ათასი ლარით, მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადი 8211,1 ათასი ლარი, ანუ გაიზარდოს 690,8 ათასი ლარით, ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი 1000,0 ათასი ლარი, ანუ შემცირდეს 300,0 ათასი ლარით. გაზრდილი ხარჯების დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნეს დამატებითი ღირებულების გადასახადის გეგმის ზრდის ხარჯზე და ამ ცვლილებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე მახათაძე** დაინტერესდა, რატომ არ არის საუბარი განმარტებაში და არც წარმოდგენილ განკარგულების პროექტში, ბიუროს სხდომაზე გაჟღერებული ინფორმაცია დასუფთავების სამსახურისთვის დამატებით, ურნების შესაძენად 48900 ლარის გამოყოფის თაობაზე და არის თუ არა მზად სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდების პროექტები, რომელთა შორისაა ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულის ხიდიც.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ საკითხი-დასუფთავების სამსახურისთვის თანხის გამოყოფის თაობაზე საჭიროებს დამატებით განხილვას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ უნდა გაკეთდეს სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდები ჯურუყვეთის, ჩოჩხათის და

გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულებში. აქედან, მხოლოდ ჯურუყვეთის ხიდის პროექტის ღირებულება შეადგენს 375000 ლარს. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად მიმართეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომ ამ პროექტების დაფინანსება მოხდეს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის გამოყოფილი თანხიდან.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** უკმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომ ტენდერის შედეგად მომზადებულ პროექტებს აქვთ ასტრონომიული ღირებულება.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძე** დაინტერესდა, რატომ არის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ ადმინისტრაციულ ერთეულში საგზაო სამუშაოები მიტოვებული.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ აკეთისა და გულიანის ადმინისტრაციულ ერთეულებში საგზაო სამუშაოები შეჩერებულია, რომელთა განახლების პროცესში ჩართულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, სახელმწიფო რწმუნებული, ადგილობრივი ხელისუფლება და მიღებული იქნება საბოლოო გადაწყვეტილება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 36 (23.07.2021)**

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე




გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

23 ივლისი 2021 წელი
11.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	10 ⁴⁵	10 ⁰⁰
2	ვლადიმერ ნანაძე	10 ⁵⁵	
3	ვერიკო კვირკველია		
4	ალექსანდრე მახათაძე	10 ³⁵	
5	გიორგი ჩახვაძე	10 ⁵⁵	
6	გიორგი გვარჯალაძე	10 ⁵⁸	გ. გვარჯალაძე
7	ემზარ თევდორაძე	10 ⁵⁵	ემზარ
8	ბესიკ კუპრაძე	10 ⁵⁷	ბ. კუპრაძე
9	გოგი მორჩილაძე		
10	სპარტაკ კვაჭაძე	10-59	ს. კვაჭაძე
11	ლელა ჩახვაძე		
12	ზაზა წულაძე	10 ⁵⁶	ზ. წულაძე
13	კახა ბოლქვაძე	10:57	
14	ციცინო ჩხაიძე	10:59	
15	კარლო კვიტაიშვილი		
16	ზურაბ კუკულაშვილი	10 ⁵⁰	ზ. კუკულაშვილი
17	ოთარ პატიშვილი	10:55	ო. პატიშვილი
18	ირაკლი მარშანიშვილი		
19	იოსებ ჩხაიძე		
20	ელისო ჭიჭინაძე	10 ⁵⁰	ელისო
21	ამირან ქანთარია	10 ⁵⁵	
22	დავით ჩხარტიშვილი		
23	აკაკი იმნაიშვილი	10 ⁵⁵	აკაკი

24	ზაალ სანაძე	10 55	
25	რევაზ კვერენჩილაძე		
26	კახაბერ ასკურავა		
27	ამირან გიგინეიშვილი	10 50	
28	ცისანა ურუშაძე		
29	გოდერძი ქურიძე		
30	კახა თედორაძე		
31	რეზო კვაჭაძე	10 55	h. 
32	ვენე კვირკველია	10 50	3. 